ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №19

2019 წლის 7 მაისი

დაბა ადიგენი

## ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 18.01.2022 წ.*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 ივნისის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 10.06.2019წ.*

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა“ დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 იანვრის №1 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 11/01/2016, 280010000.35.137.016221).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ადიგენის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — იმედა მღებრიშვილი

**დანართი**

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 აპრილის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 12.04.24*

## ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. წინამდებარე პროგრამა წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო ღირებულების ადგილობრივი ბიუჯეტიდან, კალენდარული წლის პერიოდში ერთჯერადად, თანადაფინანსების პროგრამას, გარდა ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. პროგრამის მიზანია დაეხმაროს მოსახლეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კვალიფიციური და სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით.

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 მაისის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 16.05.2024 წ.*

**მუხლი 2. პროგრამის ბენეფიციარი**

1. წინამდებარე პროგრამის ბენეფიციარს წარმოადგენს ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

რეგისტრირებული მოქალაქე, რომელიც კონკრეტული სამედიცინო მომსახურებისას არ სარგებლობს სახელმწიფო, კერძო სადაზღვეო კომპანიის ან სხვა ნებისმიერი დაწესებულების დაფინანსებით ან სარგებლობს ნაწილობრივი დაფინანსებით.

**მუხლი 3. პროგრამის მოქმედების გავრცელება**

1. პროგრამის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) ქვეყნის ფარგლებს გარეთ მკურნალობაზე;

ბ) კოსმეტიკურ მომსახურებაზე;

გ) საკურორტო მომსახურებაზე;

დ) განცხადების წარდგენამდე დასრულებულ და უკვე ანაზღაურებულ მომსახურებაზე.

**მუხლი 4. სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურების დაფინანსების ოდენობა**

1. 0-65000 სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ პირს, შშმ პირებს და 18 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგულ ბენეფიციარს 100%-ით დაუფინანსდება 200 ლარის ჩათვლით სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურება, თუ სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურება აღემატება 200 ლარს, აღნიშნულ ბენეფიციარს სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდება 60%-ით.

2. 65001-150000 სოციალური სარეიტინგო ქულის ჩათვლით ბენეფიციარს სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდებათ ბენეფიციარის ასანაზღაურებელი თანხის 55%-ით.

3. ბენეფიციარს, რომელიც ვერ წარმოადგენს სარეიტინგო ქულის დამადასტურებელ დოკუმენტს, სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების დაფინანსება განესაზღვრება ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების მიხედვით:

ა) 2000 ლარის ჩათვლით სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურებაზე, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 50%-ით;

ბ) 2000 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურებაზე, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 40%-ით;

გ) 5000 ლარიდან ზევით სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურებაზე, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 35%-ით;

დ) დადგენილების მე-4 მუხლის მესამე პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბენეფიციარს, რომლის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების ხარჯს ნაწილობრივ აფინანსებს სადაზღვევო კომპანია (სახელმწიფო, კერძო და სხვა) 85%-ით ან/და მეტი ოდენობით, არ დაფინანსდება ამ დადგენილებით განსაზღვრული პროგრამით, თუ არ აკმაყოფილებს ამავე მუხლის მე-12 პუნქტის ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც, გარდა „ე“ ქვეპუნქტისა;

ე) დადგენილების მე-4 მუხლის მესამე პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბენეფიციარს, რომლის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების ხარჯი არ აღემატება 300 ლარს, ამ დადგენილებით განსაზღვრული პროგრამით არ დაუფინანსდება, თუ არ აკმაყოფილებს ამავე მუხლის მე-12 პუნქტის ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც, გარდა „ე“ ქვეპუნქტისა.

4. ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები (მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა) მინდობით აღსაზრდელად მიბარებული ბავშვების სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების დაფინანსება განისაზღვროს ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარისა.

5. ბენეფიციარს, რომელიც არის ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) პაციენტი, სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურება დაუფინანსდება კალენდარული წლის პერიოდში სამჯერადად,

ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 70%-ის ოდენობით.

6. 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს და სოციალურად დაუცველებს ფიზიოთერაპია და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია დაუფინანსდებათ ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების მიხედვით:

ა) 3000 ლარის ჩათვლით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 100%-ით;

ბ) 3000 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 50%-ით;

გ) 5000 ლარიდან ზევით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 40%-ით.

7. 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარებს ფიზიოთერაპია და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია დაუფინანსდებათ ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების მიხედვით:

ა) 2000 ლარის ჩათვლით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 50%-ით;

ბ) 2000 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 40%-ით;

გ) 5000 ლარიდან ზევით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 35%-ით.

8. 18 წლის ასაკს ზევით შშმ და სოციალურად დაუცველ პირებს ფიზიოთერაპია და ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია დაუფინანსდებათ:

ა) 1000 ლარამდე, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების100%-ით;

ბ) 1000 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 50 %-ით;

გ) 2000 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 40 %-ით;

დ) 5000 ლარიდან ზევით, ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 35%-ით.

9. 18 წლის ასაკს ზევით ბენეფიციარებს კინეზოთერაპია დაუფინანსდებათ:

ა) 2000 ლარის ჩათვლით ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 50%-ით;

ბ) 2000 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 40%-ით;

გ) 5000 ლარიდან ზევით ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 35%-ით.

10. 18 წლის ასაკს ზევით ბენეფიციარებს ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია დაუფინანსდებათ:

ა) 2000 ლარის ჩათვლით ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 50%-ით;

ბ) 2000 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 40%-ით;

გ) 5000 ლარიდან ზევით ბენეფიციარის ასანაზღაურებელი ღირებულების 35%-ით.

11. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სამედიცინო და სააფთიაქო მომსახურებისთვის დაფინანსება ორჯერადად განხორციელდება უკიდურესად გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ პირებზე.

12. მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის მიზნებისთვის უკიდურესად გაჭირვებულია პირი, რომელიც ჩამოთვლილთაგან აკმაყოფილებს შემდეგ ერთ კრიტერიუმს მაინც:

ა) მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის სტატუსი;

ბ) მინიჭებული აქვს მრავალშვილიანი მშობლის სტატუსი;

გ) არის მარტოხელა პენსიონერი;

დ) მინიჭებული აქვს მარჩენალდაკარგულის სტატუსი;

ე) არ უფიქსირდება ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი;

ვ) მინიჭებული აქვს შშმ პირის სტატუსი.

13. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ომის ვეტერანებს ფიზიოთერაპია დაუფინანსდებათ ბენეფიციარის ასანაზღაურებელი მომსახურების ღირებულების 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარისა.

14. სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულების სახელზე გაცემული საგარანტიო წერილის გამოყენება შესაძლებელია ბენეფიციარზე, მისი გაცემის დღიდან 1(ერთი) თვის განმავლობაში.

15. სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურეობის დასრულების შემდეგ, ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიაში, არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესრულებული სამუშაოს საბოლოო (დაზუსტებული) დოკუმენტაცია.

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 მაისის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 16.05.2024 წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივლისის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 26.07.2024 წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 დეკემბრის დადგენილება №59 - ვებგვერდი, 12.12.2024 წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 მარტის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 25.03.2025 წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 9 ივლისის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 10.07.2025წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №44 - ვებგვერდი, 23.12.2025წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 23.01.2026წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 4 თებერვლის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 05.02.2026წ.*

**მუხლი 5. სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია**

მოქალაქემ სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მისაღებად ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე (განცხადების დაწერა შესაძლებელია ბენეფიციარის ახლო ნათესავის, კანონიერი წარმომადგენლის ან მინდობილი პირის მიერ, რომელმაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (ქორწინების მოწმობა, დაბადების მოწმობა, მინდობილობა ან სხვა);

ბ) ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100);

დ) სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულებიდან, სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ანგარიშფაქტურა (ინვოისი) ან კალკულაცია) ან/და სხვა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სააფთიაქო ან სამედიცინო დაწესებულებებისადმი ბენეფიციარის ასანაზღაურებელი თანხა;

ე) ცნობა სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულებიდან გასაწევი სამედიცინო მომსახურების სახელმწიფოს, კერძო სადაზღვეო კომპანიის ან სხვა ნებისმიერი დაწესებულების მხრიდან დაფინანსების ან/და ნაწილობრივი დაფინანსების არსებობის და მისი ოდენობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) მინდობით აღსაზრდელი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

თ) მშობლის ან მინდობით აღსაზრდელი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

ი) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

კ) ამონაწერი არასრულწლოვანი ბენეფიციარის რეგისტრაციის ადგილის შესახებ;

ლ) დასრულებული სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს ცნობა დაწესებულებიდან დავალიანების ქონის შესახებ;

მ) სოციალური სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ნ) ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანის მოწმობა;

ო) ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტის წარმოუდგენლობა წარმოადგენს სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურებაზე თანადაფინანსებაზე უარის თქმის საფუძველს;

პ) (ამოღებულია - 16.05.2024, №30);

ჟ) მე-4 მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი ცნობა.

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 მაისის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 16.05.2024 წ.*

**მუხლი 6. სააფთიაქო და სამედიცინო და მომსახურების დაფინანსების გაცემის წესი**

1. მოქალაქის მიერ მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადება, თანდართული დოკუმენტაციით, შესასრულებლად გადაეცემა ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალურ საკითხთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროს სპეციალისტს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში.

2. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულების სახელზე მუნიციპალიტეტის მერია გასცემს საგარანტიო წერილს.

3. სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (თანხის გადარიცხვა სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე) განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების შემდგომი სამუშაოს (სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების) დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენისთანავე.

4. საგარანტიო ვალდებულება შემცირებული იქნება შესაბამისი პროპორციული რაოდენობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენის შემდეგ დადგინდება, რომ სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების მთლიანი ღირებულებიდან უშუალოდ ბენეფიციარის მიერ ასანაზღაურებელი თანხა შემცირდა წინასწარი დოკუმენტაციით წარმოდგენილ თანხასთან შედარებით.სააფთიაქო და სამედიცინო დაწესებულების სახელზე გაცემული საგარანტიო წერილი მოქმედებს მისი გაცემის დღიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში.

5. (ამოღებულია - 16.05.2024, №30).

*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 მაისის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 16.05.2024 წ.*
*ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 მარტის დადგენილება №14 - ვებგვერდი, 25.03.2025 წ.*